თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 30 აგვისტო 2011 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ანდღულაძე	–ქ. ქუთაისის მერის მოადგილე, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.
კოტე რატიანი	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ანდრო მაღლაკელიძე	–ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ნოდარ მიქიაშვილი	–ქ.ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი, სატენდერო კომისიის აპარატის უფროსის მოადგილე.
ცისმარდი მაღლაფერიძე	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, საკონკურსო კომისიის მდივანი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქ. ქუთაისში ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის შიდა სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა ნოდარ მიქიაშვილმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა – შ.პ.ს ,,გეომეფმა".

ამის შემდეგ დალუქული კონვერტები გაიხსნა კონკურსანტის თანდასწრებით და გამოცხადდა საკონკურსო წინადადების ფასი.

შ.პ.ს ,,გეომეფმა" წარმოადგინა საკონკურსო წინადადება 9800 (ცხრაათასრვაასი) ლარზე (დღგ–ს ჩათვლით).

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადათ განისაზღვრა 2011 წლის 30 აგვისტოს 12:30 საათამდე პერიოდით.

შ.პ.ს ,,გეომეფი"–ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – დავით ანდღულაძემ.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა.
კომისიის წევრებმა: ანდრო მაღლაკელიძემ და ნოდარ მიქიაშვილმა.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტის შეფასება.
შ.პ.ს ,,გეომეფმა" მიიღო 30,3 ქულა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – დავით ანდღულაძემ.
კომისიის წევრებმა: ანდრო მაღლაკელიძემ და ნოდარ მიქიაშვილმა.

დაადგინეს:

1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქ. ქუთაისში ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის შიდა სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს ,,გეომეფი".

2. ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის (ა. მაღლაკელიძე) სამსახურმა გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყონ ,,შემსყიდველსა" და ,,მიმოწოდებელს" შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: დავით ანდღულაძე

კომისიის წევრები:

კოტე რატიანი

ანდრო მაღლაკელიძე

ნოდარ მიქიაშვილი

კომისიის მდივანი:

ცისმარდი მაღლაფერიძე